



კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და
განახლების მექანიზმები

დამტკიცებულია რექტორის 2021 წლის 10 თებერვლის #0221-11 ბრძანებით

1. ზოგადი დებულებები

- 1.1. წინამდებარე დოკუმენტით განისაზღვრება შპს „კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმები და პროცედურები.
- 1.2. უნივერსიტეტის მისიისა და ძირითადი მიზნების განხორციელებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა უნივერსიტეტის სტუდენტების, სამეცნიერო-კვლევით პროცესებში და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის (შემდგომში - „პერსონალი“) შესაბამისი ლიტერატურითა და საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფაა. ამ მიზნით, დაწესებული უზრუნველყოფის უნივერსიტეტში ბიბლიოთეკის, როგორც სტრუქტურული ერთეულის არსებობას.
- 1.3. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა პასუხისმგებელია, უნივერსიტეტის დებულებით, წინამდებარე წესითა და უნივერსიტეტის დებულების საფუძველზე მიღებული სხვა აქტებით გათვალისწინებული წესებისა და მექანიზმების შესაბამისად უზრუნველყოს უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალისთვის თანამედროვე სამეცნიერო, საგანმანათლებლო რესურსებისა და სერვისების მიწოდება.
- 1.4. უნივერსიტეტი და ბიბლიოთეკა აღიარებს და ითვალისწინებს სამედიცინო განათლების სფეროში თანამედროვე ინფორმაციის მნიშვნელობას, რის შესაბამისადაც საბიბლიოთეკო რესურსების განსაზღვრისას პრიორიტეტულად ითვალისწინებს რესურსების თანამედროვეობის ხარისხს და ზრუნავს მათ მუდმივ განახლებაზე.

2. ბიბლიოთეკის რესურსები და სერვისები

- 2.1. ბიბლიოთეკის რესურსები მოიცავს: სამკითხველო დარბაზს, წიგნად ფონდს, პერიოდულ გამოცემებს (როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით), ინფორმაციის ელექტრონულ მატარებლებზე (CD, DVD, Blue-ray დისკებზე, მეხსიერების ბარათებზე, ან/და მყარ დისკებზე) განთავსებულ აუდიო, ვიდეო, ტექსტურ ფაილებს, ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე წვდომის უფლებებს, ბიბლიოთეკის რესურსების კატალოგიზაციის, სისტემატიზაციისა და ანტი-პლაგიატის კომპიუტერულ პროგრამებს, კომპიუტერებს, პროექტორებს და სხვა სახის ტექნიკურ საშუალებებს.
- 2.2. ბიბლიოთეკის სერვისები მოიცავს ბიბლიოთეკაში არსებული რესურსებით უნივერსიტეტის სტუდენტების, სამეცნიერო-კვლევით პროცესებში ჩართული პერსონალის, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალისა და სხვა უფლებამოსილი პირების მიერ სარგებლობის შესაძლებლობას დადგენილი წესების შესაბამისად.

3. განვითარებისა და განახლების ძირითადი მექანიზმები

- 3.1. ყოველწლიური პერიოდულობით ბიბლიოთეკის დირექტორი პასუხისმგებელია, შეიმუშაოს წინადადებები და რეკომენდაციები წიგნადი ფონდისა და სხვა რესურსების განახლებასთან დაკავშირებით.
- 3.2. რესურსების განახლებასთან დაკავშირებით წინადადებები უნდა შეიცავდეს განახლების მიმართულებებს როგორც არსებული მატერიალური რესურსების ცვეთით გამოწვეული ჩანაცვლების საჭიროებიდან, ისე რესურსების განახლებული გამოცემების, ვერსიებისა და რევიზიების ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე.

- 3.3. რესურსების განახლების შესახებ ბიბლიოთეკა ახდენს უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმირებას.
 - 3.4. ყოველწლიური პერიოდულობით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კოორდინაციით, ხორციელდება ბიბლიოთეკის მომხმარებელთა აზრის კვლევა, რომლის შედეგებსაც ამუშავებს და აანალიზებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ბიბლიოთეკის დირექტორთან კონსულტაციით. მიღებული შედეგები ეგზავნება ბიბლიოთეკის დირექტორს, რომელიც ვალდებულია, იზრუნოს შედეგებში დაფიქსირებული რეკომენდაციების რეალიზებაზე.
 - 3.5. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, ცალკეული საბიბლიოთეკო რესურსების და სერვისების უზრუნველყოფისთვის გააფორმოს ხელშეკრულება მესამე პირებთან, რომელთა ჯეროვან შესრულებას ზედამხედველობას უწევს ბიბლიოთეკის დირექტორი. უნივერსიტეტი, ბიბლიოთეკის დირექტორის რეკომენდაციების საფუძველზე, ვალდებულია, იზრუნოს აღნიშნული ხელშეკრულების განახლებული (გაუმჯობესებული) პირობებით გაგრძელებაზე. ასევე, უნივერსიტეტი აღნიშნული რესურსებისა და სერვისების მომწოდებლის შერჩევას განიხილავს ახალ კონტრაქტებს, რომლებიც უნივერსიტეტს სთავაზობენ გაუმჯობესებულ პირობებს უნივერსიტეტის ბიუჯეტის გათვალისწინებით.
- 4. ბიბლიოთეკის რესურსების განახლება და განვითარება**
- 4.1. ბიბლიოთეკის დირექტორი უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან და ფაკულტეტების დეკანებთან კოორდინაციით, განსაზღვრავს ბიბლიოთეკაში არსებული რესურსებისა და სერვისების შესაბამისობას პროგრამით გათვალისწინებულ საჭიროებებთან. აღნიშნულის საფუძველზე კი იღებს გადაწყვეტილებას ბიბლიოთეკაში საჭირო და მიზანშეწონილი რესურსების შექმნასთან, ამოღებასთან ან ჩანაცვლებასთან დაკავშირებით, რის შესახებაც შესაბამისი ინიციატივით მიმართავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსს.
 - 4.2. ბიბლიოთეკაში საჭირო და მიზანშეწონილი რესურსების განსაზღვრის პროცესში, კვლევითი და სამეცნიერო ხასიათის რესურსების განსაზღვრის მიზნით, ბიბლიოთეკის დირექტორი ასევე თანამშრომლობს უნივერსიტეტის სამედიცინო განათლებისა და მეცნიერების განვითარების სამსახურთან.
 - 4.3. ბიბლიოთეკისთვის საჭირო და მიზანშეწონილი რესურსების შექმნის წინადადებასთან ერთად, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსს ეგზავნება შესაძენი რესურსების ჩამონათვალი, რომელიც აღრიცხულია მათი პრიორიტეტულობის მიხედვით.
 - 4.4. რესურსების პრიორიტეტულობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება მოქმედი ან/და დაგეგმვის ეტაპზე მყოფი საგანმანათლებლო პროგრამებიდან გამომდინარე საჭიროებები, ბიბლიოთეკაში უკვე არსებული რესურსები, გამოცემის/განახლების თარიღები, სტატისტიკურად განსაზღვრული მოთხოვნა რესურსზე და ეგზემპლარების რაოდენობა.
- 5. ბიბლიოთეკის სერვისების განახლება და განვითარება**
- 5.1. ბიბლიოთეკის სერვისები მოიცავს ბიბლიოთეკაში არსებული რესურსებით უნივერსიტეტის სტუდენტების, სამეცნიერო-კვლევით პროცესებში ჩართული პერსონალის, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალისა და სხვა უფლებამოსილი პირების

მიერ სარგებლობის შესაძლებლობას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის შესაბამისად.

- 5.2. ბიბლიოთეკის სარგებლობის წესების განმსაზღვრელ დოკუმენტსა და მასში შესატანი ცვლილებების პროექტს შეიმუშავებს ბიბლიოთეკის დირექტორი და ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.
- 5.3. ბიბლიოთეკა ახორციელებს ყოველდღიურ ზედამხედველობას მის დაქვემდებარებაში მყოფ ელექტრონული და ტექნიკური რესურსების გამართულ ხელმისაწვდომობაზე.
- 5.4. ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული და ტექნიკური რესურსების ხელმისაწვდომობაში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში ბიბლიოთეკის პერსონალი ცდილობს დაუყოვნებლივ გამოსწოროს არსებული ხარვეზი უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერთან კოორდინაციით. პრობლემის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, ბიბლიოთეკის დირექტორი ვალდებულია, შესაბამისი მომსახურების მიღების მიზნით დაუკავშირდეს თავად ელექტრონული რესურსის მომწოდებელ ან/და შუამავალ პირებს. აღნიშნულ პირებთან სახელშეკრულებო ურთიერთობების დამყარებაში ან/და არსებული ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებების რეალიზებაში უნივერსიტეტის რექტორი ითვალისწინებს ბიბლიოთეკის დირექტორის რეკომენდაციებს.
- 5.5. ბიბლიოთეკა გარდა საინფორმაციო და ინსტრუქციული ხასიათის შეხვედრების ჩატარებისა, ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტის სტუდენტებს, პერსონალსა და ბიბლიოთეკით სარგებლობაზე სხვა უფლებამოსილ პირებს გაუწიოს შესაბამისი კონსულტაცია ბიბლიოთეკაში არსებული რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებით.